საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/1210-15 "30" 06 2015 წ

შპს „რ.ბ.ჯ"-ს

გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია **ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი**, პროგრამების დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით, ამავე პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ავტორიზაციით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე **10 დღით ადრე კომისიისთვის მის მიერ მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა**.

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენს მიერ კომისიაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის, ხოლო ამ ეტაპზე თქვენი სიგნალი მულტიპლექსპლატფორმის ფარგლებში უკვე ვრცელდება, მოგიწოდებთ დაუყონებლივ კომისიაში წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილის, "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2015 წლის 3 ივლისს 16:00 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ.N50/18 გაიმართება კომისიის სხდომა, სადაც განიხილება საკითხი ავტორიზებული პირის - შპს „რ.ბ.ჯ"-ს მიერ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევის თაობაზე (ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი - 30.06.2015).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „რ.ბ.ჯ"-ს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები, საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge